

რეგისტრირებულია N 329
1998 წ. 26 ნოემბერი
საქართველოს ეროვნული ბანკის
იურიდიული სამმართველო

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
24 ნოემბერი 1998 წ.
N 090.010.003.407

საქართველოს ეროვნული ბანკი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 97
1998 წლის 22 ოქტომბერი
ქ. თბილისი

**"საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო
სერტიფიკატებით, სახელმწიფო ობლიგაციებით და
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო
ვალდებულებებით რეპო ოპერაციების შესახებ" საქართველოს
ეროვნული ბანკის დებულების დამტკიცების თაობაზე**
(22.08.2007 N 224)

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე და 73-ე მუხლების შესაბამისად და ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით ვბრძანებ: *(22.08.2007 N 224)*

1. დამტკიცდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებით, სახელმწიფო ობლიგაციებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით რეპო ოპერაციების შესახებ“ თანდართული დებულება. *(22.08.2007 N 224)*

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს ეროვნული ბანკის 1998 წლის 9 ივნისის N 47 ბრძანება "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებათა რეპო ოპერაციების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე.

3. ეს ბრძანება და თანდართული დებულება გამოქვეყნდეს გაზეთ "ბანკი+"-ში.

პრეზიდენტი

ი. მანაგაძე

დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული ბანკის
1998 წლის 22 ოქტომბრის
N 97 ბრძანებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებით, სახელმწიფო
ობლიგაციებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო
ვალდებულებებით რეპო ოპერაციების შესახებ
(22.08.2007 N 224)

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის 73-ე მუხლის საფუძველზე იმავე კანონის 29-ე მუხლის შესასარულებლად.
2. რეპო არის შემდგომი გამოსყიდვის პირობით, ფასიანი ქაღალდების დათქმულ ფასში გაყიდვის შესახებ შეთანხმება, რომლის დროსაც ჭარბი ფულადი სახსრების მქონე მხარე დროებით აძლევს მას მეორე მხარეს.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან რეპო ოპერაციებს აწარმოებს ლიკვიდურობის სამართავად მათთან დადებული გენერალური ხელშეკრულების (დანართი N1) საფუძველზე, რომლითაც ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების, სახელმწიფო ობლიგაციების და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების (შემდგომში - ფასიანი ქაღალდები) გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, დადგენილ ვადაში მეორე მხარისაგან გამოისყიდოს მისთვის მიყიდული ფასიანი ქაღალდები შეთანხმებული ფასით. (22.08.2007 N 224)
4. ამოღებულია (22.08.2007 N 224)
5. ფასიანი ქაღალდების მყიდველს მათზე საკუთრების უფლება აქვს და შეუძლია გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ, რაზეც აუცილებელია გამყიდველის წინასწარი თანხმობა იმ პირობით, რომ იგი გამყიდველს რეპო ოპერაციების მოქმედების ვადის დამთავრებისთანავე დაუბრუნებს ფასიან ქაღალდებს. კომერციულ ბანკებს შორის და მათ მიერ არასაბანკო დაწესებულებებთან რეპო ოპერაციების წარმოებისას ისინი ვალდებულები არიან ეროვნულ ბანკს გაუგზავნონ შეტყობინება (N 3 დანართი). (22.08.2007 N 224)
6. საქართველოს ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას რეპო ოპერაციებს კომერციულ ბანკებთან აწარმოებს ერთიდან თოთხმეტ დღემდე ვადით, მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით და სახელმწიფო ობლიგაციებით, აუქციონის მეშვეობით, რასაც წინასწარ აცნობებს კომერციულ ბანკებს. (22.08.2007 N 224)

7. აუქციონის ჩატარება ეფუძნება მრავალი ფასის მეთოდს. (25.06.2004 N 131)

8. აუქციონის მუშაობას წარმართავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული საკრედიტო კომიტეტი. (22.08.2007 N 224)

9. აუქციონი ეწყობა ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში. (22.08.2007 N 224)

10. საქართველოს ეროვნული ბანკი რეპო აუქციონის დაწყებამდე ერთი საბანკო დღით ადრე ატყობინებს (დანართი N 2) კომერციულ ბანკებს მორიგ აუქციონზე ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გაყიდვის თაობაზე. (22.08.2007 N 224)

11. ამოღებულია (25.06.2004 N 131)

12. რეპო ოპერაციებით ფასიანი ქაღალდების ტიპს, ყიდვის (გაყიდვის) ლიმიტებს, გასაცემი სახსრების საერთო თანხის პროცენტულ შეფარდებას ფასიანი ქაღალდების ნომინალურ ღირებულებასთან, აგრეთვე რეპო ოპერაციების ზღვრულ საპროცენტო განაკვეთს (რეპოს შემთხვევაში მაქსიმალურს, ხოლო უკურეპოს შემთხვევაში მინიმალურს) განსაზღვრავს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კომისია. (22.08.2007 N 224)

13. ამოღებულია (25.06.2004 N 131)

14. ამოღებულია (22.08.2007 N 224)

15. რეპო ოპერაციები კომერციულ ბანკებს შორის, აგრეთვე მათ მიერ არასაბანკო დაწესებულებებთან შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ვადით შეთანხმების საფუძველზე, სახაზინო ვალდებულებების დაფარვის ვადის გათვალისწინებით.

16. ამოღებულია (22.08.2007 N 224)

მუხლი 2. განაცხადის წარდგენის წესი (22.08.2007 N 224)

1. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადს კომერციული ბანკები საქართველოს ეროვნულ ბანკში (სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი) აგზავნიან „SWIFT“-ის მეშვეობით. განაცხადების მიღება იწყება აუქციონის დაწყებამდე ერთი საათით ადრე და წყდება აუქციონის დაწყებისას. განაცხადში მითითებული უნდა იყოს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) აუქციონის ჩატარების თარიღი;

ბ) ბანკის დასახელება;

გ) ბანკის კოდი, საკორესპონდენტო ანგარიში;

დ) შესასყიდი (გასაყიდი) ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციის ნომერი;

ე) შესასყიდი (გასაყიდი) ფასიანი ქაღალდების დაფარვის თარიღი;

ვ) შესასყიდი (გასაყიდი) ფასიანი ქაღალდების რაოდენობა;

ზ) შესასყიდი (გასაყიდი) ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება;

თ) რეპო ოპერაციის (უკურეპო) საპროცენტო განაკვეთი;

ი) გამოსყიდვის თანხა;

კ) რეპო ოპერაციის (უკურეპო) ხანგრძლივობა დღეების მიხედვით;

2. დასაშვებია ერთი ბანკის მიერ განაცხადში ერთდროულად რამდენიმე პროცენტისა და თანხის შეთავაზება.

მუხლი 3. საკრედიტო კომიტეტის მუშაობის წესი (22.08.2007 N 224)

1. საკრედიტო კომიტეტი რეპო ოპერაციებიდან მყიდველების მიხედვით მისაღებ შემოსავალს გაიანგარიშებს ფორმულით:

$$I = \frac{FX \cdot p \cdot X \cdot d}{100 \cdot X \cdot 365}$$

სადაც I= რეპო ოპერაციებიდან შემოსავალს;

F= გასაყიდი ფასიანი ქაღალდებით გასაცემი სახსრების საერთო თანხას;

p= რეპო ოპერაციების საპროცენტო განაკვეთს;

d= რეპო ოპერაციების ხანგრძლივობას დღეების მიხედვით.

2. საკრედიტო კომიტეტი ამოწმებს გამყიდველი ბანკის განაცხადში მითითებულ ფასიანი ქაღალდების მონაცემების შესაბამისობას შესაბამის ფასიან ქაღალდების რეესტრთან.

3. ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ყიდვის შემთხვევაში განაცხადები

დახარისხდება მაღლიდან დაბალი საპროცენტო განაკვეთებისკენ თანამიმდევრობით შესაბამისი თანხების მითითებით. აუქციონი მთავრდება, როდესაც საპროცენტო განაკვეთების კლების მიხედვით დალაგებული საერთო თანხა გაუთანაბრდება ფასიანი ქაღალდების ყიდვისათვის განსაზღვრული თანხის მოცულობას. ერთი და იმავე საპროცენტო განაკვეთზე რამდენიმე განაცხადის არსებობისას აუქციონის ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში განაცხადები დაკმაყოფილდება პროპორციულად.

4. საკრედიტო კომიტეტი აუქციონის დასრულებისთანავე ვალდებულია ფასიანი ქაღალდების რეესტრში განახორციელოს შესაბამისი ჩანაწერები და იმავე დღეს მოამზადოს განკარგულება, რომლის საფუძველზეც კომერციულ ბანკებს კუთვნილებისამებრ საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩაერიცხებათ გაყიდული ფასიანი ქაღალდების ღირებულება ამ დებულების პირველი მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული თანხით.

5. ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შემთხვევაში განაცხადები დახარისხდება საპროცენტო განაკვეთის ზრდის მიხედვით. აუქციონი მთავრდება, როდესაც საპროცენტო განაკვეთის ზრდის მიხედვით დალაგებული განაცხადების საერთო თანხა გაუთანაბრდება ფასიანი ქაღალდების გაყიდვისათვის განსაზღვრული თანხის მოცულობას. ერთი და იმავე საპროცენტო განაკვეთზე რამდენიმე განაცხადის არსებობისას აუქციონის ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში განაცხადები დაკმაყოფილდება პროპორციულად.

6. რეპო ოპერაციებით ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ვადის დადგომისას გამყიდველის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდები რჩება მყიდველი ბანკის საკუთრებაში, თუ ფასიანი ქაღალდების ღირებულება ვერ უზრუნველყოფს მთლიანად გამოსყიდვის მოცულობას, მყიდველი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნებს სხვა

წყაროების ხარჯზე და სხვაობის თანხაზე წარუდგენს გამყიდველს სარჩელს.

7. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ეროვნული ბანკის საკუთრებაში რეპო ოპერაციებიდან გადმოსული ფასიანი ქაღალდები განათავსოს მეორად ბაზარზე.

„საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებით, სახელმწიფო ობლიგაციებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით რეპო ოპერაციების შესახებ“ დებულების დანართი N 1 (22.08.2007 N 224)

გენერალური ხელშეკრულება
შემდგომი გამოსყიდვის პირობით საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით და სახელმწიფო ობლიგაციებით ნასყიდობის შესახებ

გენერალური ხელშეკრულება შემდგომი გამოსყიდვის პირობით საქართველოს სადეპოზიტო სერტიფიკატთა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებათა და სახელმწიფო ობლიგაციათა ნასყიდობის შესახებ ერთი მხრივ, _____ მყიდველი _____

(ფასიანი ქაღალდის ტიპი) (ბანკის დასახელება)

მისი ხელმძღვანელის _____ სახით და, მეორე მხრივ, _____
(თანამდებობა, გვარი, სახელი)

_____ გამყიდველი _____ მისი
(ფასიანი ქაღალდის ტიპი) (ბანკის დასახელება)

ხელმძღვანელის _____ სახით, რომლებიც მოქმედებენ
(თანამდებობა, გვარი, სახელი)

საბანკო კანონმდებლობისა და ფასიანი ქაღალდების შესაბამისი ნორმატიული აქტების შესაბამისად, დებენ ამ ხელშეკრულებას შემდგომი თაობაზე:

მუხლი I. ხელშეკრულების საგანი

1. რეპო ხელშეკრულება ითვალისწინებს მონაწილე მხარეებს შორის ოპერაციების პერიოდულად შესრულებას, რომლის დროს ერთი მხარე (გამყიდველი) თანახმად, გადასცეს მეორე მხარეს (მყიდველს) ფასიანი ქაღალდები მყიდველის მიერ გამყიდველისათვის თანხის გადარიცხვის საფუძველზე, იმ პირობით, რომ მყიდველი დაუბრუნებს გამყიდველს ფასიან ქაღალდებს დათქმულ დროს ან მოთხოვნისას გამყიდველის მიერ მყიდველისათვის თანხის უკან გადარიცხვის საფუძველზე. თითოეული ასეთი ოპერაცია განიხილება როგორც გარიგება და გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან. საკუთრების უფლება ფასიან ქაღალდებზე გადაეცემა მყიდველს, რომელიც უფლებამოსილია შესყიდული ფასიანი ქაღალდები გამყიდველის თანხმობის საფუძველზე დააგირაოს ან სხვაგვარად განკარგოს. ამასთან, არანაირი გარიგება არ ათავისუფლებს მყიდველს შესყიდული ფასიანი

ქალაქების გამყიდველისათვის დათქმულ ვადაში დაბრუნების ვალდებულებისაგან.

2. კომერციულ ბანკებს შორის, აგრეთვე მათ მიერ არასაბანკო დაწესებულებებთან რეპო ოპერაციების წარმოებისას აუცილებელია რეპო ოპერაციებთან დაკავშირებული ფასიანი ქალაქების გასხვისების შესახებ შეტყობინების (N3 დანართი) წარმოდგენა ეროვნულ ბანკში.

მუხლი II. ხელშეკრულების პირობები

1. ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველისათვის გადაცემული ფასიანი ქალაქები აბსოლუტურად თავისუფალია, არ წარმოადგენს დავის საგანს და შეირჩევა მყიდველსა და გამყიდველს შორის შეთანხმებით.

2. ფასიანი ქალაქების მყიდველს აქვს მათზე საკუთრების უფლება და შეუძლია მათი გამოყენება თავისი შეხედულებისამებრ, რაზეც აუცილებელია გამყიდველის წინასწარი თანხმობა, იმ პირობით, რომ იგი გამყიდველს რეპო ოპერაციების ვადის დამთავრებისთანავე დაუბრუნებს ფასიან ქალაქებს.

3. ყიდვისა და გამოსყიდვის ფასი, აგრეთვე ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა პირობები განისაზღვრება „საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებით, სახელმწიფო ობლიგაციებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით რეპო ოპერაციების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N97, (22.10.98წ) ბრძანებით დამტკიცებული დებულებით.

4. რეპო ოპერაციები ფორმდება ერთიდან თოთხმეტ დღემდე.

მუხლი III. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

1. მყიდველი და გამყიდველი ვალდებული არიან შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება.

2. გარიგება ფორმდება აუქციონზე გაყიდული ფასიანი ქალაქების საერთო თანხის, ასევე რეპო ოპერაციებიდან მისაღები შემოსავლის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე.

3. ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ფასიანი ქალაქების გადაცემა უნდა მოხდეს დებულების შესაბამისად, გამყიდველსა და მყიდველს შორის ურთიერთმისაღები ბუღალტრული ჩანაწერების ფორმით და რეესტრში სათანადო ცვლილებების შეტანით.

4. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, მხარეთა უფლება-მოვალეობები არც ერთი მხარის მიერ არ უნდა გადაეცეს სხვას, წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

5. ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თითოეულ მხარეს აქვს უფლება ჩათვალოს შემხვედრი მოთხოვნები და გამოიყენოს მასთან არსებული ქონება ვალდებულებების დასაფარავად ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ ოპერაციებზე ურთიერთჩათვლისა და სალდირების გზით.

6. რეპო ოპერაციებით ფასიანი ქალაქების გამოსყიდვის ვადის დადგომისას

გამყიდველის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდები რჩება მყიდველი ბანკის საკუთრებაში. თუ ფასიანი ქაღალდების ღირებულება ვერ უზრუნველყოფს მთლიანად გამოსყიდვის მოცულობას, მყიდველი დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნებს სხვა წყაროების ხარჯზე, სხვაობის თანხაზე კი წარუდგენს გამყიდველს სარჩელს.

მხარეთა მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი იხდიან საურავს ყოველი გადაცდენილი დღისათვის ასანაზღაურებელი თანხის 0,5 პროცენტის ოდენობით.

მუხლი IV. ხელშეკრულების ვადები

1. ეს ხელშეკრულება ფორმდება _____ ვადით და დასაშვებია მისი ავტომატურად გაგრძელება, თუ ვადის დამთავრებამდე არა უგვიანეს 14 დღისა ერთ-ერთმა მხარემ არ მიიღო წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

2. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ცალად, ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

მყიდველი ბანკი
ხელმოწერა
ბ. ა.

გამყიდველი ბანკი
ხელმოწერა
ბ. ა.

19. დებულების დანართი N 2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ეროვნული ბანკის სადებუციო სერტიფიკატებით, სახელმწიფო ობლიგაციებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით რეპო ოპერაციების შესახებ“ დებულების დანართი N 2 (22.08.2007 N 224)

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება რეპო ოპერაციების აუქციონზე _____ ყიდვის (გაყიდვის) შესახებ
(ფასიანი ქაღალდის ტიპი)
200 წლის — _____

200 წლის “__” _____ „___“ საათზე რეპო ოპერაციების აუქციონზე ეროვნული ბანკის მიერ შესყიდული (გაყიდული) იქნება _____ დღის ვადით.
(ფასიანი ქაღალდის ტიპი)

ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შემთხვევაში მიეთითება შემდეგი რეკვიზიტები:

- ა) გასაყიდი ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციის ნომერი;
- ბ) ფასიანი ქაღალდების დაფარვის თარიღი;
- გ) ფასიანი ქაღალდების რაოდენობა.

განაცხადი დადგენილი ფორმით წარმოადგინეთ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტში არა უგვიანეს 200--
- წლის “__” _____
ფასიანი ქაღალდებით გასაცემი სახსრების მოცულობა განისაზღვრება _____
პროცენტული ოდენობით. (ფასიანი ქაღალდის ტიპი)

საქართველოს ეროვნული ბანკის
ვიცე-პრეზიდენტი

20 . დებულების დანართი N 3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ეროვნული ბანკის სადებულო სერტიფიკატებით, სახელმწიფო ობლიგაციებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით რეპო ოპერაციების შესახებ“ დებულების დანართი N 3(22.08.2007 N 224)

შეტყობინება N __

რეპო ოპერაციებთან დაკავშირებული _____ გასხვისების შესახებ
(ფასიანი ქაღალდის ტიპი)

200_ წლის __ _____

ფასიანი ქაღალდის გამსხვისებლის დასახელება _____

ბანკის კოდი, პირადი ანგარიშის ნომერი: _____

გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 200_ წლის “__” _____ N _____

აუქციონზე ნაყიდი ფასიანი ქაღალდებიდან გასხვისებულია (რეპო ოპერაციებთან დაკავშირებით) რაოდენობა: _____

(ციფრებით და სიტყვებით)

ნომინალური ღირებულებით: _____

(ციფრებით და სიტყვებით)

რომელიც გამოსყიდული იქნება 200_ წლის “__” _____

ფასიანი ქაღალდის ახალი მფლობელის დასახელება _____

ბანკის კოდი, პირადი ანგარიშის ნომერი _____

რეპო ოპერაციებთან დაკავშირებით

გამსხვისებლის ხელმოწერა: _____ ბ.ა.

ახალი მფლობელის ხელმოწერა: _____ ბ.ა.

მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის

შეტყობინება გასხვისების შესახებ რეპო ოპერაციებთან დაკავშირებით

შემოვიდა ეროვნულ ბანკში 200_ წლის “__” _____ და შეტანილია ცვლილებები

აუქციონზე შემდგარი გარიგებების რეესტრში რეპო ოპერაციებთან დაკავშირებით.

ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადის დადგომისას ანგარიშსწორება

განხორციელდება შეტყობინებაში მითითებული ანგარიშების მიხედვით.

ხელმოწერები: 1.

ბ.ა.

2.

ეს შეტყობინება დგება სამ ცალად. ერთი ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში, ხოლო თითო-თითო - რეპო ოპერაციების მონაწილე ბანკებში.

დანართი N4 ამოღებული (22.08.2007 N 224)